



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N30

2019 წლის 31 იანვარი  
ქ. ქობულეთი

სს „სილქნეტი“-სათვის  
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე  
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს „სილქნეტი“-ს თანდართული სქემის შესაბამისად, ქ.ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N291 ა-ს მიმდებარედ არსებულ გარე განათების ბოძებზე საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის, 4 ცალი ჭის მშენებლობისა და სატელეფონო კანალიზაციის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.

2. სს „სილქნეტმა“ უზრუნველყოს საჰაერო კაბელის მონტაჟისათვის, 4 ცალი ჭის მშენებლობისა და სატელეფონო კანალიზაციის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



დ.მჭედლიშვილი

